ხელშეკრულება N102სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV- 22200000)

ერთის მხრივ, **სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი** (სკ-211358957), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „პლანეტა-ფორტე"** (ს/კ-204388171), შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი დირექტორის **აბრამ ჩანჩალაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"** (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 **„ხელშეკრულების ღირებულება"** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 **„დღე", „კვირა", „თვე"** - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 **„შემსყიდველი"** - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 **„მიმწოდებელი"** - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 **„საქონელი"** - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი
ჟურნალ-გაზეთების მიწოდება დანართი N1-ის შესაბამისად.
(CPV- 22200000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **1'085.40** (ერთი ათას ოთხმოცდახუთი ლარი და 40 თეთრი) ლარს, დღგ-ის გარეშე.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ისა.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს, **2023 წლის 01 ივლისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, დანართი N1-ის** შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.საქონლის ხარისხი

მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი N1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო საცნობარო ბიბლიოთეკის უფროსი, თამარ ბჟალავა ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის (მათ შორის შუალედური) სახით. მიღება-ჩაბარების აქტი (მათ შორის შუალედური) ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7.2 საქონლის მიღების დროს, თუ ვადის გადაცილება, გამოწვეულია მესამე პირის ბრალეულობით (მწარმოებლის დეფექტი ან/და სხვა შემთხვევა), მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს წერილობითი დამადასტურებელი დოკუმენტი მესამე პირის ბრალეულობის შესახებ და წუნი აღმოფხვრას გონივრულ ვადაში შემსყიდველთან შეთანხმებით, რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ)დაფინანსების წყარო - **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღბული ასიგნებები.**

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის (მათ შორის შუალედური) გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების 4.1 პუქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, ან/და 6.3 პუნქტის პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,02%-ის** ოდენობით.

10.2 ხელშეკრულების 8.2 პუქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1(ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს **2024 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი:** ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1 **ტელეფონი:** 238-14-25 **საბანკო რეკვიზიტები**: **ბანკის კოდი TRESGE22** **სახელმწიფო ხაზინა** ანგ.N GE24NB0330100200165022 **სკ** - 211358957	**შპს „პლანეტა-ფორტე"** **მისამართი:** ქ. თბილისი, სულხან-საბას # 2/7 **ტელეფონი:** 2 92-18-59; 577 55 66 73 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „ბაზის ბანკი" **ბანკის კოდი:** CBASGE22 **ანგ.N** GE32BS0000000001236628 **სკ** - 204388171

დანართი N1

	შესყიდვის ობიექტის დასახელება	**შესყიდვის ობიექტის განზომილება და რაოდენობა**	**ერთ. ფასი**	**საერთო ფასი**	**CPV კოდი**	**შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები ვადა და ადგილი**
1	გაზეთი „ალია“	26	3.70	96.20	**22200000**	**მიწოდების ვადა:** 2023 წლის 01 ივლისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით **მიწოდების ადგილი:** ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1; სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობა
2	გაზეთი „ახალი თაობა“	132	1.10	145.20		
3	გაზეთი „რეზონანსი“	132	1.10	145.20		
4	გაზეთი „ქრონიკა+“	26	3.30	85.80		
5	ჟურნალი „ფორბსი“	6	12.00	72.00		
6	ჟურნალი „ნაციონალ გეოგრაფიკი“	6	14.00	84.00		
7	Отечественные архивы	3	150.00	450.00		
8	ჟურნალი „ისტორიანი“	2	3.50	7.00		

სულ გადასახდელი თანხა : 1’085.40 (ერთი ათას ოთხმოცდახუთი ლარი და 40 თეთრი) ლარი.

შემსყიდველი

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1
ტელეფონი: 238-14-25
საბანკო რეკვიზიტები: **ბანკის კოდი TRESGE22**
სახელმწიფო ხაზინა ანგ.N GE24NB0330100200165022
სკ - 211358957

მიმწოდებელი

შპს „პლანეტა-ფორტე“
მისამართი: ქ. თბილისი, სულხან-საბას # 2/7
ტელეფონი: 2 92-18-59; 577 55 66 73
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ანგ.N GE32BS0000000001236628
სკ - 204388171